ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 33 07/11/2019

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 61-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები განისაზღვროს თანდართული დანართის სახით.

2. ნება დაერთოს ახალციხის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2019-2021 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის #13 განკარგულება.

5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N62.)

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი N1

N	პროექტის დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	მ. შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში	მ. შ თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების, გიორგიწმინდის და მუგარეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	374 795	356055	18 740	აპრილი-აგვისტო	
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	551 997	524397	27 600	აპრილი-აგვისტო	
3	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების წყრუთი-წირას დამაკავშირებელი გზის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	500 000	475000	25 000	აპრილი-აგვისტო	
4	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების აწყური-ტყემლანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	483 797	459607	24 190	აპრილი-აგვისტო	
5	ვალეში, ე.წ. მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	261 351	248283	13 068	აპრილი-აგვისტო	
6	ქ. ახალციხეში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა.	1 095 321	1040554	54 767	აპრილი-აგვისტო	
7	ქ. ახალციხე, ქუჩების (მიხეილ თამარაშვილის, შალვა ახალციხელის, პაატა ნათენაძის, რუსთაველის, კოსტავას და დიდიმამიშვილის) ქუჩების, საფეხმავლო ბილიკების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	1 139 002	1082051	56 951	აპრილი-აგვისტო	
8	ჯამი	4 406 263	4 185 947	220 316		

საკრებულოს თავმჯდომარე გელა ნოზაძე